# საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-02/115

ქ. ბათუმი 16 ივლისი, 2021 წელი

**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2020 წლის 7 თებერვლის №19, 2020 წლის 31 ივლისის MES 1200000649005 და 2020 წლის 31 ივლისის MES 0200000649004 გადაწყვეტილებების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, „2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის MES 9 21 0000666445 ბრძანების, ,,2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის MES 6 21 0000673778 ბრძანების, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ივლისის №01-02/103 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2021 წლის 09 ივლისის №692854 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის** წესი" **დანართი** 1–ის შესაბამისად.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**რექტორი, ასოც. პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის ------ 16 ივლისის
№01-02/115 ბრძანების დანართი 1

# ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობებისს **(შემდეგში ,,წესი")** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ") **საბაზო და საშუალო, მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები,** აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურას.

1.2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში - ,,პროგრამა") ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ბსუ-ს მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და წარდგენა;

ბ) პროგრამაზე მიღების გამოცხადება;

გ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

დ) აპლიკანტთა შერჩევა;

ე) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

ვ) ტესტირების/გამოცდის შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა;

ზ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

1.3. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელმაც გაიარა ავტორიზაცია სარეგისტრაციო სისტემაში, დარეგისტრირდა აპლიკანტად, წარმატებით ჩააბარა გამოცდა და დადგენილ ვადაში გააფორმა ხელშეკრულება ბსუ-სთან.

1.4. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება განხორციელდება ორი ძირითადი ფორმატით: ა) ცენტრალურად ადმინისტრირებადი სტანდარტიზებული პროფესიული ტესტის და/ან ბ) ბსუ-ს მიერ ადმინისტრირებული შეფასების ალტერნატიული ფორმების (ტესტირება, გასაუბრება, შემოქმედებითი/სპეციალური ტური, პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი) გამოყენებით.

1.5. თითოეული პროგრამისათვის განისაზღვრება მიღების მხოლოდ ერთი, სავალდებულო ფორმატი, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ორივე ფორმატი.

1.6. წინამდებარე წესით განსაზღვრულ აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურას წარმართავს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი **(შემდეგში - ,,ცენტრი").**

## 2. აპლიკანტთა რეგისტრაცია

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში (პროფესიული განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონული მოდული) და რეგისტრირდება აპლიკანტად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2.2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

3. **აპლიკანტთა შერჩევა**
3.1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
3.2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3.3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვანი პროგრამებისა.
3.4. საბაზო და საშუალო, მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შეფასების ადგილი და თარიღი/თარიღები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამ წესის მეორე მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
3.5. ინფორმაცია აპლიკანტთა შეფასების ადგილის და თარიღი/თარიღების შესახებ აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
3.6. შეფასების თარიღი/თარიღების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკანტს ელექტრონული ფოსტით ან/და სმს შეტყობინებით..
3.7. საბაზო და საშუალო (მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) გამოცდის სავალდებულო ფორმატს წარმოადგენს შეფასების ალტერნატიული ფორმატი (ტესტირება, გასაუბრება, შემოქმედებითი/სპეციალური ტური, პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი).
3.8. აპლიკანტთა შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, რომელიც დგება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3.9. აპლიკანტთა საგამოცდო ნამუშევრების გასწორების მიზნით, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება საგამოცდო და სააპელაციო კომისიები (არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით).
3.10. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ცენტრის დირექტორი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის ექსპერტი და ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი/დამსაქმებელი.
3.11. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საგამოცდო კომისიის წევრი.
3.12. სააპელაციო კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, რომელიც, შემოსული აპელაციების მიხედვით იწვევს სააპელაციო კომისიის შესაბამისი დარგის წარმომადგენელს. კომისიის მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
3.13. სააპელაციო კომისია განიხილავს მისაღებ გამოცდებზე დაფიქსირებულ დარღვევებთან და გამოცდის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს. კომისიას

უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

3.14. აპლიკანტთა შეფასების შედეგები ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აისახება საგამოცდო უწყისში **(წინამდებარე წესის ფორმა №1)**, რომლის შევსებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგამოცდო კომისია.

3.15. აპლიკანტს უფლება აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინოს საპრეტენზიო განაცხადი (აპელაცია), გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.

3.16. საპრეტენზიო განაცხადების განხილვა და განხილვის შედეგების აპლიკანტისთვის გაცნობა ხორციელდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

3.17. შეფასების შედეგის შეცვლის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში აპლიკანტის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი „შესწორებულია n ქულა", უწყისის ბოლოს კი, ფიქსირდება სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა. საგამოცდო უწყისს უნდა დაერთოს სააპელაციო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება.

3.18. საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის ამოწურვისთანავე აპლიკანტთა შეფასების შედეგები სარეგისტრაციო სისტემაში აისახება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

**„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესის" თანდართული ფორმა №1**

**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების უწყისი №**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

_____

**შეფასების ფორმა:** ტესტირება/გასაუბრება/შემოქმედებითი/სპეციალური ტური, პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე: _____

(სახელი, გვარი, დასაქმებულის პოზიცია)

საგამოცდო კომისიის წევრები:

1. _____

(სახელი, გვარი, დასაქმებულის პოზიცია)

2. _____

(სახელი, გვარი, დასაქმებულის პოზიცია)

3. _____

(სახელი, გვარი, დასაქმებულის პოზიცია)

| № | აპლიკანტის გვარი, სახელი | აპლიკანტის პირადი ნომერი | შეფასება | |
|---|---|---|---|---|
| | | | ქულა | სიტყვიერად |
| 1. | | | | |
| 2. | | | | |

საგამოცდო კომისიის წევრების ხელმოწერები:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

პროფესიული პროგრამის მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის ხელმოწერა _____ ( ბ. ა. )

შეფასების ჩატარების თარიღი: